სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 6-47

11 10 2021წ.

გორი

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-31 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი საპრეტენზიო კომისია საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. კომისიის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული უნდა იქნეს შესაბამისი სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორი. კომისიის სხდომაზე ასევე მოწვეული უნდა იქნენ სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.".

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი